

შექსპირის სამი ტრაგედია ქართულად
(მანანა ანთაძის თარგმანი)
SHAKESPEARE'S THREE TRAGEDIES IN GEORGIAN
(TRANSLATED BY MANANA ANTADZE)

მანანა გელაშვილი
Manana Gelashvili

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: შექსპირი, თარგმანი, ანთაძე, ტრაგედიები
Keywords: Shakespeare, translation, Antadze, tragedies

სტატიაში განხილულია შექსპირის სამი ტრაგედიის („მეფე ლირი“, „მაკბეთი“, „იულიუს კეისარი“, 2017) ქართული თარგმანები, რომლებიც შესრულებულია მანანა ანთაძის მიერ. შექსპირის ტექსტი იმდენად მრავალშრიანი და მრავალნიშნადია, რომ მისი თარგმნა ყოველთვის, იმავდროულად, ინტერპრეტირებასაც ნიშნავს. ასეა ამ შემთხვევაშიც. მანანა ანთაძის ინტერპრეტაცია საინტერესო მიგნებებით არის სავსე. ქართულად ამეტყველებული ედმუნდის მონოლოგი („მეფე ლირი“) და კუდიანების სცენა („მაკბეთი“) საუკეთესო ნიმუშია ამგვარი ინტერპრეტაციის და, ამასთანავე, მთელი ტექსტის გასაღებიც. ამ თარგმანებში კარგად ჩანს არა მხოლოდ მთარგმნელის ნიჭიერება და დიდი გამოცდილება (მანანა ანთაძე მრავალი ნაწარმოების მთარგმნელი და ივანე მაჩაბლის სახელობის პრემიის ლაურეატია), არამედ შექსპირის შემოქმედების ღრმა მეცნიერული ცოდნა და წვდომა, რომლის გარეშეც შექსპირის თარგმნა შეუძლებელია. შექსპირის სიღრმისეული ცოდნა მანანა ანთაძემ თავისი დიდი მასწავლებლის, ცნობილი შექსპიროლოგის, ნიკო ყიასაშვილისაგან მიიღო, რომელსაც ეს კრებული ეძღვნება.

ახალი თარგმანი დრომ და თეატრმა მოითხოვა. როგორც ცნობილმა ქართველოლოგმა და მთარგმნელმა, დონალდ რეიფილდმა, შენიშნა: „ყველა თაობას სჭირდება თავისი საკუთარი შექსპირი, მაგრამ აუცილებლად ახალ თარგმანში, იმიტომ რომ მთარგმნელს შექსპირი გადაჰყავს მხოლოდ სხვა ენიდან კი არა, არამედ სხვა ეპოქიდან.“ მართლაც, ახალი თარგმანი საჭიროა, არა იმიტომ, რომ ივანე მაჩაბლის, ვახტანგ ჭელიძის თარგმანები მოძველდა, არამედ იმიტომ, რომ ისეთი ტექსტები, როგორებიც შექსპირისაა, ყოველმა ახალმა თაობამ ახლად გაიაზროს. მანანა ანთაძის თარგმანი კი სწორედ ასეთი გააზრებაა, რომელიც შექსპირის თარგმნის მდიდარი ტრადიციიდან ამოიზარდა და იმ ნაკლოვანებებსა და უზუსტობებს ასცდა, რომლებიც წინა თარგმანებში გვხვდება.

სტატიაში შედარებულია თარგმანისა და დედნის ტექსტები და კონკრეტული ნიმუშებითაა ნაჩვენებია, როგორ გადაიჭრება ცალკეული სიტყვები და იქმნება შექსპირის ტექსტის მხატვრული ეკვივალენტი.

შედარებითმა კვლევამ ნათლად აჩვენა, რომ თარგმანი არა მხოლოდ სიზუსტით გამოიჩევა, არამედ, გვხიბლავს თავისი ბუნებრიობითაც: სულერთია ანტონიოსის ორატორული ხელოვნებით გამორჩეული მონოლოგი იქნება („იულიუს კეისარი“) თუ მეფე ლირის ტრაგიზმით აღსავსე სიტყვები, კუდიანების ბუნდოვანი წინასწარმეტყველებები („მაკბეთი“) თუ მასხარის კალამბურები („მეფე ლირი“) მთარგმნელმა ყველაფერს მოუძებნა ქართული შესატყვისი. ყველაფერს თავისი გასაღები მოარგო და პერსონაჟებისა და მთლიანი ტექსტის ახალი წაკითხვა შემოგვთავაზა.

ლიტერატურა:

შექსპირი, უ. (2017). ტრაგედიები. ტ. I, ინგლისურიდან თარგმნა მანანა ანთაძემ. თბილისი: კენტავრი.

Shakespeare, W., The Complete Works of William Shakespeare. <https://shakespeare.folger.edu/>

The article gives analysis of three tragedies by Shakespeare ('King Lear', 'Macbeth', 'Julius Caesar', 2017) translated into Georgian by Manana Antadze. Shakespeare's text is renowned for being highly suggestive and multilayered. Thus, any translation at the same time means giving an interpretation of the text. It is true to this translation as well. Manana Antadze's rendering of Shakespeare's text is full of interesting interpretations and readings of the well-known passages. An analysis of how Edmund's famous monologue from 'King Lear' and the witches' opening scene in 'Macbeth' are translated into Georgian shows that these passages can be considered as one of the best examples of how a translation of the text becomes an interpretation at the same time. These translations reveal that Manana Antadze is not only as a gifted and experienced translator (Antadze has translated a number of books and was awarded a prestigious Ivane Machabeli prize for her achievement), but also has a deep knowledge and understanding of Shakespeare's works, which she gained from her tutor, an internationally acclaimed Georgian Shakespeare scholar professor Nico Kiasashvili. It is to Nico Kiasashvili that this volume is dedicated.

Creation of new translations was demanded by the needs of theatres and at the same time by a necessity to produce a new translation in the new epoch. As famous Karvelologist and translator Donald Rayfield remarked, "Every generation needs its own Shakespeare and a new translation."

The paper gives a comparative study of the text of the original and that of the translation to explore how specific difficulties of the original are rendered into Georgian so as to create an artistic equivalent of the original text.

A comparison of the texts clearly showed that the translation is marked with both the fidelity to the text of the original and the beauty of expression in the target language. The translator manages to create an equivalent of different styles whether it is Mark Anthony's rhetorical speech ('Julius Caesar'), King Lear's dramatic monologues, the three witches' ambiguous predictions ('Macbeth'), or the jester's puns ('King Lear').

References:

Shakespeare, W. (2017). Tragediebi [Tragedies], translated from English to Georgian by Manana Antadze. Tbilisi: Kentavri.

Shakespeare, W., The Complete Works of William Shakespeare. <https://shakespeare.folger.edu/>